„Trade In“ მომსახურება

წესები და პირობები

„მიმწოდებელი“/„ჩვენ“- შპს „ჯიდიაი“, (საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე რეგისტრირებული და მოქმედი კომპანია, ს/ნ: 406181616;

„მომხმარებელი“/„თქვენ“- სრულწლოვანი (18+) ნიკოტინის მომხმარებლები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან თამბაქოს/ნიკოტინის შემცველი პროდუქტების სრულწლოვანი (18+) მომხმარებლების მონაცემთა ბაზაში და ფლობენ IQOS/IQOS ILUMA-ის მოწყობილობას/მოწყობილობებს, როგორც აღწერილია ქვემოთ, მე-2 მუხლში.

1. პირობების გამოყენება/შესაბამისობა

1.1 წინამდებარე წესები და პირობები (*„პირობები“*) ვრცელდება და არეგულირებს Trade-In მომსახურებას (“**Trade-In**“) თქვენი თამბაქოს გასახურებელი სისტემის განახლებისთვის [IQOS 2.4 ან IQOS 2.4+ ან IQOS 3 or IQOS 3 MULTI ან IQOS 3 DUO ან IQOS Originals Duo ან IQOS ILUMA One ან IQOS ILUMA ან IQOS ILUMA Prime **(„მოწყობილობა“)** IQOS ILUMA i-ს მოწყობილობაზე. „თქვენ“ უნდა გაეცნოთ წინამდებარე „პირობებს“ ყურადღებით, რადგან ისინი გავლენას ახდენენ თქვენს სამართლებრივ უფლებებზე და არეგულირებენ „თქვენს“ ურთიერთობას მომსახურების „მიმწოდებელთან“.

1.2 „თქვენ“ შეგიძლიათ მიიღოთ “Trade-In“ მომსახურება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

1.3 „თქვენ“ ხართ IQOS/IQOS ILUMA-ის მოწყობილობის სრულწლოვანი მომხმარებელი.

(i) „მოწყობილობა დარეგისტრირებულია თქვენს მიერ“ „მომხმარებლების“ მონაცემთა ბაზაში.

(ii) „თქვენი“ ძირითადი საცხოვრებელი ადგილი არის საქართველო;

(iii) „თქვენი“ მოწყობილობა არ არის დაშლილი/დანაწევრებული და შედგება დამტენი და გასახურებელი მოწყობილობისგან (თითოეული ერთ ნაწილად), გარდა IQOS 3 MULTI, ან IQOS ILUMA One-ისა.

(iv) „თქვენ“ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ გისარგებლიათ “Trade-In” ან „Transition“ მომსახურებით.

1.4 “Trade-In” მომსახურების მისაღებად, „მომხმარებელმა“ უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

1.5 “Trade-In” მომსახურება ხელმისაწვდომია - აქ ჩამოთვლილ IQOS-ის მაღაზიებში.

1.6 “Trade-In” მომსახურების მისაღებად, „თქვენ“ არ გესაჭიროებათ „მოწყობილობის“ დამტენის, ორიგინალი ყუთის ან სხვა აქსესუარების ქონა.

1.7 „თქვენ“ შეგიძლიათ თქვენი „მოწყობილობა“ დაარეგისტრიროთ ჩვენს მონაცემთა ბაზაში iqos.com-ზე, მომხმარებელთა მომსახურების ცენტრში სატელეფონო ზარის განხორციელებით ნომერზე 0800 003 003, ან IQOS-ის მაღაზიებში

1.8 “Trade-In” მომსახურების მიღების მოთხოვნით, „თქვენ“ ეთანხმებით და ადასტურებთ, რომ „თქვენ“ წაიკითხეთ და გაიაზრეთ წინამდებარე „პირობები“ და ადასტურებთ, რომ ვალდებული ხართ დაიცვათ ეს „პირობები“. თუ „თქვენ“ არ ეთანხმებით ან ვერ შეასრულებთ ამ „პირობებს“, მაშინ „თქვენ“ არ გაქვთ უფლება მიიღოთ “Trade-In” მომსახურება. წინამდებარე „პირობების“ შეცვლა არ არის ნებადართული, თუ „მიმწოდებელი“ პირდაპირ არ ეთანხმება მას წერილობითი ფორმით.

1.9 „ჩვენ“ ასევე ვიტოვებთ უფლებას შეტყობინების შემდეგ ნებისმიერ დროს შევცვალოთ წინამდებარე „პირობები“.

1.10 “Trade-In” მომსახურება ხელმისაწვდომია 2026 წლის 13 თებერვლიდან 15 თებერვლამდე.

2. Trade-In-ის პირობები

2.1 “Trade-In” მომსახურების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, „თქვენ“ შეგიძლიათ დაუკავშირდით ჩვენს მომხმარებელთა მომსახურების ცენტრს [0800 003 003] ან ეწვიოთ ვებ გვერდს iqos.com.

2.2 “Trade-In” მომსახურების ფარგლებში, „მიმწოდებელი“ შეიძენს არასასურველ, გამოუსადეგარ და/ან დაზიანებულ ელექტრონულ მოწყობილობას „მომხმარებლისაგან“ წინასწარ განსაზღვრული ღირებულების ფარგლებში. შესაბამისმა სრულწლოვანმა (18+) „მომხმარებელმა“ ეს თანხა უნდა გამოიყენოს მხოლოდ ახალი მოწყობილობის შესაძენად, როგორიცაა: IQOS ILUMA i, წინამდებარე „პირობების“ წესების შესაბამისად.

2.3 მოწყობილობებზე“ არ გავრცელდება “Trade-In” მომსახურება თუკი:

(i) „მოწყობილობები“ არ შეესაბამება 2.4 პუნქტის „პირობებმს“;

(ii) „მოწყობილობა“ წარმოდგენილია გვერდითი პანელის [door] და/ან თავსახურის [caps] გარეშე, გარდა IQOS 3 MULTI ან IQOS ILUMA One-ისა.

(iii) „მოწყობილობა“ წარმოაგდენს გაქირავების საგანს და იგი გადაეცა „მომხმარებელს“ გაქირავების ხელშეკრულების ფარგლებში;

2.4 “Trade-In” მომსახურება ვრცელდება შემდეგ მოწყობილობებზე: IQOS 2.4 ან IQOS 2.4+ ან IQOS 3 ან IQOS 3 MULTI ან IQOS 3 DUO ან IQOS Originals Duo ან IQOS ILUMA One ან IQOS ILUMA ან IQOS ILUMA Prime

2.5 შესყიდვის ფასი ყველა „შესაბამისი მოწყობილობისთვის“ იქნება – 50 ლარი (ყველა მოქმედი გადასახადის ჩათვლით).

2.6 თითოეულ სრულწლოვან (+18) „მომხმარებელს“ ეძლევა მხოლოდ 1 (ერთი) „მოწყობილობით“ “Trade-In” მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა. “Trade-In” მომსახურების დასრულების შემდეგ, „შეძენილი მოწყობილობები“ გადასამუშავებლად გაეგზავნება შპს „ფილიპ მორის საქართველოს“ და „მომხმარებელი“ ვერ შეძლებს გაყიდული „მოწყობილობის“ დაბრუნებას.

2.7 „მიმწოდებელი“ იტოვებს უფლებას შეაჩეროს ან გააუქმოს “Trade-In” მომსახურების მიწოდება „მომხმარებლებისთვის“ სათანადო შეტყობინების საფუძველზე.

2.8 “Trade-In” მომსახურების ხანგრძლივობა დამოკიდებულია IQOS ILUMA i მარაგების ხელმისაწვდომობაზე.

2.9 **შეწყვეტა** - „მიმწოდებელი“ იტოვებს უფლებას გააუქმოს “Trade-In” მომსახურება „მომხმარებელთან“ ამ „პირობების“ ნებისმიერი დარღვევის, თაღლითური ქმედების ან სხვა საჭიროების შემთხვევაში.

3. სხვა დებულებები

3.1 „მიმწოდებელი“ პასუხს არ აგებს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებული მაქსიმალური ოდენობის ფარგლებში, დელიქტური (მათ შორის, დაუდევრობა ან კანონისმიერი ვალდებულების დარღვევა), სახელშეკრულებო, შეცდომაში შემყვანი, რესტიტუციული ან სხვა რაიმე სახის პირდაპირი ზიანისთვის, მოგების, გაყიდვების, მიუღებელი შემოსავლის ან დანაზოგის, საქმიანობის შეწყვეტის, საქმიანი რეპუტაციის დაკარგვის და/ან მსგავსი დანაკარგის გამო ან მონაცემთა ან ინფორმაციის დაკარგვის ან წმინდა ეკონომიკური ზიანის ან რაიმე განსაკუთრებული, არაპირდაპირი ან თანმიმდევრული ზიანისთვის, ხარჯისთვის, ვალდებულებისთვის,

გადასახადებისთვის ან ღირებულებისთვის, რაც თავის მხრივ წარმოიშვა ან სხვაგვარად უკავშირდება „თქვენს“ მონაწილეობას“ “Trade-In” მომსახურებაში.

3.2 **პერსონალური მონაცემების გამოყენება**: “Trade-In” მომსახურების მიწოდების პროცესში. „მიმწოდებელი“ დაამუშავებს „მომხმარებლების“ პერსონალურ მონაცემებს, როგორც აღწერილია მის კონფიდენციალურობის შეტყობინებაში, რომელიც ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://pmiprivacy.com/ka/consumer და შეესაბამება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს. აღნიშნული მოიცავს მონაცემთა გაზიარებას მესამე პირთათვის და მონაცემთა გაზიარებას საერთაშორისო დონეზეც. ყველა შემთხვევაში, ამ ქვეყნებში ან ტერიტორიებზე გამოყენებული იქნება პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისი უსაფრთხოების ზომები მონაცემთა დაცვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. „მიმწოდებელი“ ახორციელებს შესაბამის ტექნიკურ და საორგანიზაციო ზომებს, რათა დაიცვას პერსონალური ინფორმაცია, რომლესაც „ჩვენ“ ვფლობთ უნებართვო გამჟღავნების, გამოყენების, შეცვლის ან განადგურებისგან. საჭიროების შემთხვევაში, „ჩვენ“ ვიყენებთ დაშიფვრას და სხვა ტექნოლოგიებს, რომლებიც ხელს უწყობენ „თქვენი“ მოწოდებული ინფორმაციის დაცვას. „ჩვენ“ ასევე ვითხოვთ „ჩვენი“ მომსახურების მომწოდებლებისგან, რომ მკაცრად დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების მოთხოვნები.

3.3 „მომხმარებელი“, როგორც პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი, უფლებამოსილია ისარგებლოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებით და გამოითხოვოს თანხმობა, მოითხოვოს ინფორმაცია მონაცემთა დამუშავების შესახებ, მოითხოვოს შესწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, მონაცემების წაშლა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. „მომხმარებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს ზემოაღნიშნული უფლებების განხორციელება შემდეგ ნომერზე დარეკვით: [0 800 003 003]

3.4 ეს „პირობები“ ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას.

3.5 კითხვებისთვის, შეკითხვისა და საკონტაქტო ინფორმაციისთვის, გთხოვთ, ეწვიოთ IQOS.com-ს